ним связывается и христианская любовь.

Из лирики И.Чавчавадзе следует выделить две "Молитвы": "Отче Наш" и "Когда Демон..." В этих стихотворениях поэт представляет себя в известных ситуациях из евангельских проповедей.

"Молитва" ("Отче Наш") основывается на известной "Божьей молитве" Евангелия от Матвея (Матвей, 6,9-13).

Другая "Молитва" (Когда Демон...") напоминает, как молился Христос в Гетсиманийском саду накануне тяжкого испытания.

Образцом молитвенной лирики является стихотворение И. Чавчавадзе "Г.Абх...".

Лирику И.Чавчавадзе часто заполняет псалмо-гимнографическая струя. У И.Чавчавадзе высокая одухотворенность находит новую лирическую форму.

Лирика И.Чавчавадзе также соприкасается с псалмами.

Таким образом, источники религиозных воззрений И.Чавчавадзе: Библия, грузинские христианские традиции мышления, древняя грузинская письменность и известные философские учения того времени. Все это, пройдя сквозь призму духовного восприятия действительности, нашло тонкое и полное глубокого смысла отражение в религиозной и нерелигиозной, но отражающей религиозные мотивы лирике Ильи Чавчавадзе.

899.962.1
3-206

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკა გიორგის ასული ქარდოშვილი

# რელიგიური ნაკადი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში

10.01.02 ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თ ბ ი ლ ი ს ი

1995

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

მეცნიერ ხელმძღვანელები: რ. სირაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ვ. მინაშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური ოპონენტები: ლ. მენაბდე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
დ. კოტორაშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი

დაცვა შედგება 1995 წლის 8 დეკემბერს 2 საათზე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს P-10.01.C N10 - 3 სხდომაზე

380028 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 30 X 1995წ.

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. ტაბიძე

-1514-

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა უფრო მეტი სისრულით იქნეს წარმოჩენილი და შესწავლილი ქართული მწერლობისა და აზროვნების ისეთი დიდი წარმომადგენელი როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილიას მსოფლმხედველობის მასაზრდოებელ ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ქრისტიანობა. ქრისტიანული სულითაა გამსჭვალული მთელი მისი ნაღვაწი.

ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს დაწერილ თავის პირველ სტატიაში "ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან "შეშლილის" თარგმანზედა" (1860 წ.) ილია ჭავჭავაძე წერდა: "სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათგან, მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას".

სრულიად გარკვეული მიზეზების გამო, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ილიას შემოქმედების შესწავლა შეფერხებული იყო.

ილიას რელიგიური ნააზრევი ორმხრივაა გასახილავი: ერთია უშუალოდ გამოთქმული რელიგიური შეხედულებები, რომლებიც გადმოცემულია მის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, ხოლო მეორე მხრივ ის რელიგიური ნაკადი, რომელიც მის მხატვრულ შემოქმედებაში იჩენს თავს.

პრობლემის შესწავლის დონე. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კრიტიკოსებს მწერლის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც საგანგებო ინტერესი ილიას შემოქმედებისა საერთოდ და, კერძოდ კი მისი ლირიკის რელიგიურობის შესახებ იშვიათად გამოუვლენიათ. მომეტებულად შთაბეჭდილებების ფორმით მოწოდებული მათი მოსაზრებები, კრიტიკული წერილების საჟურნალო და საგაზეთო ხასიათი არც გულისხმობდა ასეთი საკითხებით საგანგებო